# ხელშეკრულება №43

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.რუსთავი 05 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო გავაშელის სახით და მეორეს მხრივ, ი მ ელგუჯა გოგრიჭიანი , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელგუჯა გოგრიჭიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. CPV: 39143121

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2000 ( ორიათასი ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და ანგარიშფაქტურით/სასაქონლო ზედნადებით.

3.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლის დირექტორი ნინო გავაშელი

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის /სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან ოთხი დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. რუსთავი, მესხიშვილის მე 2 გას #3).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ლშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

იმართება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი

13.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს მარტუნ ლომსაძეს.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 01 დეკემბრამდე.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ - ქალაქ რუსთავის №21საჯარო სკოლა<br>ს/კ 216317297<br>მის: ქ. რუსთავი, მესხიშვილის მე -2 გასასვლელი #3. საბანკო რეკვიზიტები:<br>ანგ GE36VT0700000141413408<br>ბანკი სს ვითიბი ბანკი ჯორჯია რუსთავის ფილიალი<br>ტელ:(0341)279065,577211430<br><br>დირექტორი ნინო გავაშელი | ინდ მეწარმე ელგუჯა გოგრიჭიანი<br>ს/კ 35001097850<br><br>დირექტორი ელგუჯა გოგრიჭიანი<br>(ხელმოწერა) ბ.ა |

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტანსაცმლის საკიდი კარადა | ცალი | 2 | 1000 | 2000 |
| სულ ღირებულება ორიათასი ლარი. | | | | | |

სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლის დირექტორი /ნინო გავაშელი/

ინდ მეწარმე /ელგუჯა გოგრიჭიანი/

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქალაქი რუსთავი                    11 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო გავაშელი** სახით ,მეორეს მხრივ ინდ მეწარმე ელგუჯა გოგრიჭიანი ( შემდგომი ,,მომწოდებელი") დირექტორი ელგუჯა გოგრიჭიანი

ეს აქტი შედგა მასზედ, რომ ერთმა მხარემ მიიღო, ხოლო მეორე მხარემ ჩააბარა ელ-0266684922 სასაქონლი ზედნადებებში მოცემული საქონელი სულ თანხით 2000 ლარი ჩამოთვლილი დასახელების შესაბამისად

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტანსაცმლის საკიდი კარადა | ცალი | 2 | 1000 | 2000 |
| | | | | | |
| სულ ღირებულება ორიათასი ლარი | | | | | 2000 |

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელის მოწერით

სსიპ ქალაქ რუსთავის № 21 საჯარო სკოლის დირექტორი: ნინო გავაშელი

ინდ მეწარმე ელგუჯა გოგრიჭიანი